ეკოლოგიის საკითხების გაშუქება თანამედროვე ქართულ ტელემაუწყებლობაში ჟურნალისტიკა
COVERAGE OF ECOLOGICAL ISSUES IN MODERN GEORGIAN TELEVISION BROADCASTING

ნარგიზა კანკია
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტი
Nargiza Kankia
Associate Professor
David Aghmashenebeli University of Georgia,
Email: nargizakankia17@gmail.com
ORCID: 0009-0001-1131-7703

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება იმას, თუ რა ადგილი უჭირავს ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის საკითხებს თანამედროვე ქართულ ტელემაუწყებლობაში. ცხადია, ეს თემა ყოველთვის საინტერესო იყო მოსახლეობისთვის, მაგრამ, ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით აქტუალური გახდა ის (ეკოლოგიური კატაკლიზმების გამო) არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

ეკოლოგიის სფეროში არსებულ პრობლემებზე მსჯელობენ, როგორც ტრადიციულ, ისე ციფრულ მედიაში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო, თუ როგორ აშუქებს ქართული ტელემაუწყებლობა ეკოლოგიის საკითხებს - რა ფორმები, მეთოდები, საშუალებები გამოიყენება გადაცემების მოსამზადებლად, რამდენად სრულყოფილად და ობიექტურად შუქდება საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა არხზე ამ სფეროში არსებული საკითხები/პრობლემები. რისთვისაც ერთმანეთს შევადარეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხისა“ და კერძო ტელეკომპანიების („რუსთავი-2“, „იმედი“, „TV პირველი“) გადაცემები.

ნაშრომის თეორიულ ნაწილში აღვნიშნეთ, რომ ამ საკითხებზე მუშაობა საკმაოდ რთულია ჟურნალისტებისთვის - პირველ რიგში, ზუსტი და სწორი ინფორმაციის მოპოვება, არც ისე მარტივია (ეს შეიძლება, სხვადასხვა წინააღმდეგობის გადალახვასაც უკავშირდებოდეს), ის მოითხოვს ამ თემატიკის საფუძვლიან და ობიექტურ შესწავლას. ასევე, მნიშვნელოვანია ფაქტების ლოგიკურად გაანალიზება და მასალის მარტივად და გასაგებად მიწოდება აუდიტორიისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ეკოლოგიის სპეციალისტებს. ბუნებისა და ეკოლოგიის სფეროში არსებულ მნიშვნელოვან ინფორმაციებს ჟურნალისტები სისტემატურად უნდა ეცნობოდნენ სპეციალური ვებ-გვერდებიდან, გარკვეული როლი შეიძლება შეასრულონ სოციალურმა ქსელებმა.

ემპირიული მასალის გაცნობით (ტელეგადაცემებზე დაკვირვებით), დავასკვენით, რომ, თანამედროვე პერიოდში, ტელეაუდიტორია ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებზე იგებს ახალი ამბების გამოშვებებიდან, სპეციალური გადაცემებიდან, დოკუმენტური ფილმებიდან და ამ თემაზე შექმნილი რეკლამებიდან (რომელიც, ცხადია, ყველაზე მეტად „პირველ არხზე“ გადის).

ასევე, გაირკვა, რომ ყველაზე ამომწურავ და მიუკერძოებელ, დაბალანსებულ გადაცემებს (ბევრ საინტერესო ფაქტს ბუნების საოცრებებზე, აგრეთვე, ეკოლოგიურ დანაშაულებზე და იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ბუნების დაცვის პრობლემებს შეეხება) ამზადებს საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხი“.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგია; ბუნება; ტელემაუწყებლობა; სიუჟეტი; მიუკერძოებლობა

Abstract

The presented paper addresses the role and place of nature conservation and ecological issues in contemporary Georgian television broadcasting. Obviously, this topic has always been of interest to the population, but recently it has become particularly relevant (due to ecological cataclysms) not only in Georgia, but worldwide.

Problems in the field of ecology are discussed in both traditional and digital media. It was particularly interesting for us to examine how Georgian television broadcasting covers ecological issues—what forms, methods, and means are used to prepare broadcasts, and how thoroughly and objectively issues/problems in this field are covered on various Georgian television channels. For this purpose, we compared broadcasts of the Public Broadcaster's "First Channel" and private television companies ("Rustavi 2", "Imedi", "TV Pirveli").

In the theoretical part of the paper, we noted that working on these issues is quite difficult for journalists—first of all, obtaining accurate and correct information is not easy (which may involve overcoming various obstacles); it requires a thorough and objective study of this subject matter. Additionally, it is important to analyze facts logically and present the material simply and clearly to the audience. It should be noted that ecology specialists can be of great help in this process. Journalists should systematically familiarize themselves with important information in the field of nature and ecology through specialized websites, while social networks can also play a certain role. Through the examination of empirical material (by observing television programs), we concluded that nowadays the television audience learns about ongoing events in this field from news releases, special programs, documentaries, and commercials created on this topic (which, obviously, air most frequently on the "First Channel").

It was also revealed that the most comprehensive, unbiased, and balanced programs (containing many interesting facts about natural wonders, as well as ecological crimes and measures concerning nature protection issues) are prepared by the Public Broadcaster's "First Channel".

Keywords: Ecology; Nature; Television Broadcasting; Report; Impartiality

შესავალი

ეკოლოგიის (ბერძნული oikos - სახლი, გარემო და logos- შეცნობა, სწავლა) საკითხები განსაკუთრებით აქტუალური გახდა თანამედროვე პერიოდში, რასაც გახშირებული ეკოლოგიური კატაკლიზმები განაპირობებს. ეკოლოგიას მეცნიერები ბიოლოგიის ნაწილად მიიჩნევენ (სწავლობს არა მარტო ცოცხალ ორგანიზმებს შორის კავშირს, არამედ მათ ურთიერთდამოკიდებულებას იმ გარემოსთან, სადაც ისინი ცხოვრობენ). თუმცა, შესაძლებელია, რომ ტერმინი „ეკოლოგია“ ბუნების დაცვასაც გულისხმობდეს, მეტიც, არსებობს მისი რამდენიმე განმარტება. ამის აღნიშვნა იმიტომ დაგვჭირდა, რომ ჩვენ ამ ტერმინს ორივე გაგებით გამოვიყენებთ.

ეკოლოგიის საკითხებზე და დანაშაულებზე არსებობს სპეციალისტების კვლევები, მაგალითად, ამერიკელი ჟურნალისტ-გამომძიებელი - ბრენტ ჰიუსტონი, წიგნში - „ჟურნალისტ- გამომძიებლის სახელმძღვანელო“ (თავი: გარემოს დაცვის გამოძიება), (2009), წერდა, რომ ამ დარგის სპეციალისტები უნდა გაეცნონ ისტორიას, მოიძიონ და წაიკითხონ ყველა ხელმისაწვდომი ანგარიში... ჟურნალისტისთვის გამოძიების დაწყების კარგი ადგილია სამთავრობო მარეგულირებელი უწყებები. მათ, პირველ რიგში, გარემოს დაცვის სააგენტოს უნდა მიმართონ, გაეცნონ მის ვებგვერდს.

ქართველი მკვლევარი - ია მახარაძე („თანამედროვე ჟურნალისტური გამოძიების თეორია და პრაქტიკა“, ერთ-ერთ თავში- „ეკოლოგიის სფეროში დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიება“) განმარტავს, თუ რა არის ეკოლოგიური დანაშაული, მსჯელობს ამ სფეროში მომუშავე ჟურნალისტებისთვის საჭირო თვისებებზე.

ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, რა ადგილი უჭირავს ეკოლოგიის საკითხებს თანამედროვე ქართულ ტელემაუწყებლობაში, რა სახით და რამდენად სრულყოფილად, ობიექტურად შუქდება ამ სფეროში მიმდინარე ფაქტები და მოვლენები სხვადასხვა არხებზე?

მეთოდოლოგია

კონტენტ-ანალიზი, შედარების მეთოდი. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი დაკვირვების ძირითად ობიექტს წარმოადგენდა საზოგადოებრივი მაუწყებლის “პირველი არხის“ გადაცემები (2026 წლის ზაფხულის განმავლობაში), თუმცა, შესადარებლად, სხვა ტელეკომპანიებიც („რუსთავი -2“, „იმედი“, „TV პირველი“) მოვიშველიეთ.

მსჯელობები და შედეგები

დავიწყოთ იმით, რომ ეკოლოგიის საკითხებზე მუშაობა ჟურნალისტისთვის საკმაოდ რთულად გვეჩვენება - ამ თემის კვლევისას, ის უნდა ერკვეოდეს ანალიზის თანამედროვე მეთოდებში, სპეციფიკურ ტერმინოლოგიებში, ციფრებში, მან, ინფორმაციის მისაღებად, უნდა მიმართოს სხვადასხვა წყაროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ, ფაქტების დასადგენად, ჟურნალისტებს მუდმივი კავშირი ჰქონდეთ ამ დარგის სპეციალისტებთან, რადგან სწორედ მათ შეუძლიათ დიდი სამსახურის გაწევა სხვადასხვა ნიუანსებში გასარკვევად.

ეს პრობლემა რომ აქტუალურია, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ბუნების და ეკოლოგიის შესახებ აკეთებენ გადაცემებს ცნობილი საზღვარგარეთული ტელეკომპანიები. მათ დიდი ადგილი დაიკავეს დოკუმენტურ ფილმებშიც. ამ თემაზე საუბრისას, წარმოუდგენელია, არ გაგახსენდეს ლეგენდად ქცეული სერ დევიდ ეტენბოროს დოკუმენტურ ფილმი „პლანეტა დედამიწა“ (BBC), მას მსოფლიო ლექსიკონში „ბუნების და დედამიწის დამცველი'' უწოდეს. (ამ პროექტის გაცნობა ქართველი ტელეაუდიტორიისთვის სწორედ „პირველი არხით“ გახდა შესაძლებელი). საზოგადოებრივი მაუწყებელი თანამედროვე პერიოდშიც აგრძელებს ამ თემაზე შექმნილი საზღვარგარეთელი დოკუმენტალისტების ფილმების დემონსტრირებას.

ეკოლოგიაზე გადაღებულ ფილმებს შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დოკუმენტურ ფილმს „სახლი“, რომლის პრემიერაც, გარემოს დაცვის დღეს, მსოფლიოს მრავალ დიდ ქალაქში მაყურებელს უფასოდ წარუდგინეს, მაგრამ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „სახლი“ 36 ქვეყანაში აიკრძალა...

ასევე, ძალიან საინტერესო და აქტუალურია BBC-ის პროექტი- „დედამიწა ეკოლოგიურ კატასტროფამდე“, რომელიც შეგვახსენებს, რომ პლანეტას, რომელზეც ჩვენ ვცხოვრობთ, აუცილებლად უნდა გავუფრთხილდეთ.

ახლა გავცეთ პასუხი კითხვას- ეკოლოგიის საკითხებზე რას და როგორ გადმოსცემს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხი“? სხვა ტელეკომპანიებს შორის, რით არის ის გამორჩეული? ასრულებს თუ არა ეს ტელეკომპანია იმ ფუნქციებს, რაც ამ სახის ტელემაუწყებელს ევალება? ჩვენი განხილვის თემები კი იქნება: ჰაერი, წყალი და ტყე.

ჰაერი. ჰაერის სისუფთავეზე დიდწილად არის დამოკიდებული ადამიანების სიცოცხლე. ბუნებრივია, ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში, ჰაერის დაბინძურების პრობლემა აუცილებლად იარსებებს და ამაზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი გამოკვლევებიც, მაგრამ ამ საფრთხის შემცირებაზე ზრუნვაც რომ აუცილებელია, ესეც ფაქტია. ამიტომაც, ამ თემაზე გამახვილდა ყურადღება საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემაში. კერძოდ, 2026 წ. 4 სექტემბრის „მოამბის“ ერთ-ერთი სიუჟეტი ეხებოდა იმას, რომ გამოქვეყნდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კონტროლის 3 წლის სტატისტიკა. ხოლო დეპარტამენტი ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის მონიტორინგს ქვეყნის 4 მსხვილ ქალაქში (2023 წ სექტემბრიდან) ახორციელებს. გავიგეთ, რომ გამოვლენილი სამართალდარღვევებიდან, ყველაზე მეტი, დაახლოებით -11000 ფაქტი- დედაქალაქში დაფიქსირდა. სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლის სამსახურის ინსპექტორის- თორნიკე ლეჟავას- თქმით, ამ პერიოდში ამოწმებენ, როგორც ბენზინის, ისე დიზელის ძრავების მქონე ავტომობილებს, რის შედეგადაც, დაახლოებით 21 000 სამართალდარღვევა აქვთ გამოვლენილი. ამ მონიტორინგის მიზანი კი არის სატრანსპორტო სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირება და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისთვის ხელის შეწყობა.

როგორც ვხედავთ, „პირველი არხის“ საინფორმაციო პროგრამა- „მოამბეში“ ითქვა, რომ ჰაერის დაბინძურების პრობლემა, გატარებული ღონისძიებების მიუხედავად,

კვლავ დგას, მეტიც, ეს მდგომარეობა მათ შეაფასეს როგორც „საგანგაშო სტატისტიკა“, მაგრამ, ამ პრობლემის აღნიშვნასთან ერთად, სამთავრობო ღონისძიებებზე და მიზნებზეც გაკეთდა აქცენტი. ამ თემაზე გაკეთებული სიუჟეტები გავიდა „იმედზე“ და „რუსთავი 2-ზე“ და ისინი არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

ჰაერის დაბინძურების შესახებ მზადდება ინფორმაციები სხვადასხვა ტელეკომპანიაში, მაგრამ ამ საკითხისადმი მიდგომა და მისი გაშუქება, შესაძლებელია, განსხვავებული იყოს. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სიუჟეტები ქალაქ რუსთავის ჰაერის დაბინძურებაზე, რომლებიც „პირველი არხისა“ და „TV პირველის“ ეთერში გავიდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის “მოამბეში” (2026 წლის 29 ივნისი) იტყობინებოდნენ (სიუჟეტში-„რუსთავის მერის ანგარიში გარემოს დაცვის კომიტეტზე“), რომ რუსთავში ჰაერის დაბინძურების დონე კვლავ მაღალია, ამ ფაქტზე ყურადღება გაამახვილა პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა. აღსანიშნავია, რომ ქალაქის მერსაც არ უარყვია ეს ფაქტი და იქვე ისაუბრა იმაზე, რომ, ამ გამოწვევის დასაძლევად, მიმდინარეობს ქალაქის გამწვანება (პარკები, სკვერები) და ასევე, გაძლიერებულია იმ ობიექტების ინსპექტირება, რომლებიც ქალაქს აბინძურებენ. ქალაქის მერის სიტყვებით, ის კომპანიები, რომლებიც გარემოს დაცვის ვალდებულებებს არ ასრულებენ, ჯარიმდებიან.

რუსთავში ჰაერის დაბინძურების პრობლემაზე აქცენტს ოპოზიციური არხებიც აკეთებდნენ, მაგალითად, ტელეკომპანია „TV პირველმა“ 2025 წ 19 სექტემბერს გაუშვა სიუჟეტი -„ჰაერის საგანგაშო მდგომარეობა რუსთავში- ტყვიისა და კადმიუმის დონე ნორმას 26-ჯერ აჭარბებს“- მასში ტელეაუდიტორიას ატყობინებდნენ არა მარტო ჰაერის დაბინძურებაზე, არამედ იმაზეც, რომ, შესაძლოა, ამან მოსახლეობაზე ძალიან ცუდი გავლენა მოახდინოს. მათ პრობლემის სირთულის დასადასტურებლად, მოიშველიეს ჩეხური ორგანიზაციის კვლევა, რომლის მიხედვითაც, სამრეწველო ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყვიისა და კადმიუმის დონე შესაბამის ნორმებს მნიშვნელოვნად აღემატებოდა. სიუჟეტში ჰაერის დაბინძურებაზე საუბრობდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლებიც - ისინი საყვედურს გამოთქვამდნენ იმ კომპანიების მიმართ, ვინც ეკონომიკურ ინტერესებს გარემოს დაცვაზე მაღლა აყენებდნენ.

თუ შევადარებთ საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხისა“ და “TV პირველის” ამ ორ სიუჟეტს, დავინახავთ, რომ ჰაერის დაბინძურების პრობლემაზე, ორივეგან არის საუბარი, მაგრამ “მოამბის” სიუჟეტში, ხელისუფლების მიერ პრობლემის აღიარების გარდა, არის საუბარი იმაზე, თუ რა კეთდება მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. “TV პირველმა” კი ამ სიუჟეტში აქცენტი გააკეთა პრობლემის სიმწვავეზე, ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთებაზე და ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე.

წყალი. საქართველოში შავი ზღვის წყლის სისუფთავის საკითხი ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ის განსაკუთრებით აქტუალური ხდება ზაფხულში, როცა დგება შვებულებების და დასვენების პერიოდი. ამ დროს იწყება ტურისტული სეზონიც და ყველას აინტერესებს, რამდენად სუფთაა ზღვის წყალი. ამ თემაზე საზოგადოებრივი

მაუწყებლის „მოამბე“ იტყობინებოდა, რომ წელს შავი ზღვის წყალი უსაფრთხოა - ამას ადასტურებს ბოლო დღეებში აღებული ანალიზები.

იმის გასაგებად, თუ როგორ ხორციელდება ზღვის წყლის კონტროლი, უფრო ვრცლად ისაუბრეს ტელეკომპანია „იმედის“ „შაბათ- კვირის დილაში“ (25 ივლისი), სადაც წამყვანთა კითხვებს პასუხობდა გარემოს ინტეგრირებული მართვის სამსახურის უფროსი - გურანდა ბაგრატიონი, რომელმაც თქვა, რომ სინჯებს იღებენ ზღვის 7 სხვადასხვა წერტილიდან და შემოწმება ხდება ოქროსფერ სტაფილოკოკზე, სალმონელაზე და სხვ. გაირკვა, რომ ეს 7 სინჯი ბოლოს აიღეს 23 ივლისს, კვლევა კი მოიცავდა ტერიტორიას სარფიდან ქობულეთის ჩათვლით. ზღვაში გასვლა, სინჯების ასაღებად, ხდება თვეში სამჯერ და წელიწადში 98 სინჯს იღებენ. აგრეთვე, მან განმარტა, რომ ეს დაბინძურება, შესაძლებელია, იყოს როგორც ხილული, ისე უხილავი სახის, რომელსაც სპეციალური კვლევა სჭირდება. კვლევის შედეგები კი საჯაროა. ბოლოს კი აუდიტორიას შეახსენეს თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობის შესახებაც.

მოდით, ერთმანეთს შევადაროთ წყლის თემაზე შექმნილი ორი სხვადასხვა ტელეკომპანიის (საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხის“ და „TV პირველის“) სიუჟეტები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ ჰაერის დაბინძურებაზე მოყვანილი ფაქტები ერთი და იგივე არ იყო და ისინი არც ერთ დღეს მომხდარა, ამიტომ ახლა შევადაროთ ერთმანეთს საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხის“ და „TV პირველის“ წყლის შესახებ ერთი და იმავე ფაქტზე, ერთ დღეს გაკეთებული სიუჟეტები. „TV პირველმა“ 8 სექტემბერს გადმოსცა ინფორმაცია („საპროტესტო აქცია სოფელ ჭალადიდში — უწყლოდ დარჩენილი მოსახლეობა დახმარებას ითხოვს“), სადაც ადგილობრივი მოსახლეობა აპროტესტებდა იმ ფაქტს, რომ მათ მთელი ზაფხულის განმავლობაში წყალი ნორმალურად არ მიეწოდებოდათ. ისინი იმასაც ამბობდნენ, რომ პრობლემის მოსაგვარებლად, მერიასაც მიმართეს, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო.

იმავე დღეს საზოგადოებრივი მაუწყებელიც გამოეხმაურა ამ ფაქტს საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“, სათაურით: „აქცია სოფელ ჭალადიდში“, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მოსახლეობის პროტესტზე საუბრის შემდეგ, აუდიტორიას მიაწოდეს ის განმარტებაც, რომელიც გააკეთა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ - შეფერხების მიზეზი, მათი თქმით, ბუნებრივ წყაროში წყლის დებიტის მკვეთრი შემცირება ყოფილა. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად კი, უწყების ტექნიკური ჯგუფები ადგილზე მუშაობდნენ და წყლის არსებული რესურსის განაწილებისა და წყალმომარაგების ეტაპობრივად აღდგენისათვის, ტექნიკური ღონისძიებები ტარდებოდა.

როგორც ვხედავთ, აქცენტები აქაც განსხვავებულია, ეს იკვეთება თუნდაც სათაურებში („საპროტესტო აქცია სოფელ ჭალადიდში“ და „აქცია სოფელ ჭალადიდში“). თუ ერთ შემთხვევაში მთავარი აქცენტი კეთდება მოსახლეობის პროტესტზე, აღშფოთებაზე და მერიის მიმართ უკმაყოფილებაზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხი“ იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, თუ რა მიზეზს ასახელებენ ხსენებული კომპანიის წარმომადგენლები და რა ტექნიკური სამუშაოები ტარდება ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად (სხვა საკითხია, მოსახლეობას რამდენად

დააკმაყოფილებდა ეს პასუხები). ამ შემთხვევაში, საუბარი არ არის იმაზე, რომ რომელიმე ტელეკომპანია ტყუოდა - ჩვენ ვაფიქსირებთ იმას, თუ როგორ შეიძლება ერთი და იგივე ფაქტის გაშუქებისას, აქცენტები სხვადასხვანაირად გაკეთდეს. თუმცა, აშკარაა ისიც, რომ აუდიტორიას უნდა მიეწოდოს ყველა მხარის მოსაზრებები.

ტყე. ტყეების დაცვა ძალიან საჭირო და საპასუხისმგებლო საქმეა. რეინჯერებს მუშაობა უწევთ ქარში, წვიმაში, თოვლში... გარდა ამისა, ამ პროფესიის ადამიანი უნდა იყოს მამაცი, რადგან ის საშიშროებებს და რისკებსაც უკავშირდება. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ ამ ადამიანების დაფასება აუცილებელია. რაც შეეხება ქართულ ტელეარხებს, მისასალმებელია, რომ რეინჯერთა პროფესიულ დღეს მიეძღვნა რამდენიმე ტელეგადაცემა. მაგალითად, „პირველი არხის“ „მოამბეში“ 30 ივლისს გავიდა სიუჟეტი, საიდანაც მაყურებელმა გაიგო, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში - ქვაბისხევში- გაიმართა რეინჯერთა მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა - დავით სონღულაშვილმა - ჯერ მიულოცა ამ პროფესიის წარმომადგენლებს, ხოლო შემდეგ, დაკისრებული ფუნქციების სანიმუშოდ შესრულებისთვის, 14 თანამშრომელი დააჯილდოვა. ღონისძიებაზე პატივი მიაგეს, სამსახურეობრივი მოვალეობის დროს, ტრაგიკულად დაღუპული რეინჯერების ხსოვნასაც. რეპორტაჟს ახლდა ამ ღონისძიების ამსახველი ვიდეომასალა და ასევე, ინტერვიუ დავით სონღულაშვილთან, რომელმაც ისაუბრა იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რეინჯერების საქმიანობა, ბოლოს კი ამ პროფესიის ადამიანებს უსურვა, რომ ისევ ისეთივე შემართებით და ენთუზიაზმით გააგრძელონ თავისი საქმე.

რეინჯერთა დღისადმი მიძღვნილი სიუჟეტი გავიდა „რუსთავი 2-ზეც“ და ის თითქმის არაფრით განსხვავდებოდა „პირველი არხის“ ხსენებული სიუჟეტისგან (მილოცვა, დაჯილდოება..). რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედს“, მან ამ დღისათვის მოამზადა პორტრეტი, რომელიც „შაბათ- კვირის დილაში“ გავიდა სათაურით: „რეინჯერი - ბუნებრივი მემკვიდრეობის მცველი“ („36 წელი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სადარაჯოზე“), საიდანაც გავიცანით ბატონი ვაჟა ჩერქეზიშვილი - ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების რეინჯერთა სამსახურის ხელმძღვანელი- რომლისთვისაც ვაშლოვანის მთავარი ხიბლი არის ის უნიკალური ლანდშაფტი და ის განსაკუთრებული მრავალფეროვნება, რომელიც ამ დაცულ ტერიტორიას გააჩნია.

როდესაც ბატონი ვაჟა საუბრობდა იმ სიყვარულზე, რომელიც მას ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებთან აკავშირებს, მისი საუბრის ტონი, გამომეტყველება იმდენად ბუნებრივი იყო, რომ მაყურებელს ამაში ოდნავი ეჭვიც კი არ შეეპარებოდა. თუმცა, შეიძლება, ამ პორტრეტის დასაწყისი ცოტა სენტიმენტალური მოგჩვენებოდა (მისი გახსენება იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მან პირველად მიიღო „უსახელოს“ გადასახედიდან), მაგრამ ის შემდეგ ისე გაიტაცა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის განსაკუთრებულობის, უნიკალურობის შესახებ ფაქტების მოყოლამ, რომ თავის თავზე უკვე აღარც საუბრობდა. მაგალითად, ბატონმა ვაჟამ სიამაყით განაცხადა, რომ 2013 წელს ევროსაბჭომ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიას ევროპის დიპლომი მიანიჭა, რითაც მოხდა ვაშლოვანის ბიომრავალფეროვნების აღიარება, როგორც ევროპის მასშტაბით უნიკალურის.

პორტრეტის მომზადება, საერთოდ, არც ისე ადვილია - ის მაღალ პროფესიონალურ თვისებებს მოითხოვს, რადგან პიროვნების წარმოჩენა საინტერესოდ, სადაც მხატვრული ხერხების გამოყენებაც მისაღებია, უნდა მოხდეს ისე, რომ მან პათეტიკური სახე არ მიიღოს. ასეთად მივიჩნიეთ ჩვენ ეს რეინჯერზე გაკეთებული სიუჟეტი. საინტერესო იყო გადაცემის ავტორის კადრსგარე ტექსტიც, მეტიც, ვფიქრობთ, რომ სხვადასხვა ხედებითა და რაკურსებით გადაღებული (თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით) უმშვენიერესი ბუნების ფონზე წარმოთქმული ეს საავტორო სიტყვები, ძალიან ჰარმონიულად ერწყმოდა და ავსებდა იმ ამბის გადმოცემას, თუ რას წარმოადგენს ეს უნიკალური ტერიტორია და ვინ არიან ის ადამიანები, ვისთვისაც ველური ბუნების სიყვარული პროფესიაზე გაცილებით მეტს ნიშნავს.

ტყის დაცვის თემაზეც შევხვდით მეტ ნაკლებად - განსხვავებულ სიუჟეტებს. ეს ეხება როგორც განხილვის სიღრმეს, ისე ვიზუალურ მხარესაც. მაგალითად, აგვისტოში საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველმა არხმა“ მაყურებელს შეატყობინა, რომ მიმდინარეობს ტყის რეფორმა, რის შედეგადაც მკაცრდება კონტროლი ხის მოჭრაზე და ძლიერდება ტყის მონიტორინგი. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეფორმის შედეგად, ტყის დაცვის მონიტორინგი სრულიად ახალ მოდელზე გადადის - იგი ციფრულ და თანამედროვე ტექნოლოგიებზე იქნება დაფუძნებული. ასევე, კონტროლისთვის აქტიურად გამოიყენება სამხრეთ ამერიკული რაციები, რაც ტყის დაცვასა და შიდა კონტროლის ხარისხს თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანს. დაგეგმილია ტყის მცველების რაოდენობის გაზრდაც - სამსახურს 500-მდე ახალი კადრი დაემატება - და ამიტომ, თუ ადრე თითოეული ტყის მცველს 10-15 000 ჰექტრის გაკონტროლება უწევდა, ეს გასაკონტროლებელი არეალი 2000 ჰექტრამდე შემცირდება, რისთვისაც ტყის მცველების პოზიცია შეიქმნა. ტყის მცველების შერჩევა კი კონკურსით ხორციელდება (რომელიც დაიდო როგორც ვებ - გვერდზე, ისე ფეისბუქ პლატფორმაზე). მაყურებელმა შეიტყო ისიც, რომ ტყის მონიტორინგის პარალელურად, მიმდინარეობს მისი აღდგენის პროცესიც - ბოლო ერთ წელიწადში აღდგენითი სამუშაოები უკვე ჩატარდა 1700 ჰექტარზე.

ტელეკომპანია „რუსთავი 2-ზე“ გავიდა თითქოს იგივე ინფორმაცია, მაგრამ იმ სხვაობით, რომ აქ აქცენტი გაკეთდა არა მთლიანად სატყეო რეფორმაზე, არამედ კონკურსზე, რომელიც გამოცხადდა მეტყევეს ვაკანსიის თაობაზე. ინფორმაციაც სწორედ ამ კონკურსით დაიწყო - გვითხრეს, რომ ეროვნული სატყეო სააგენტოს სისტემას ჯამში 499 ახალი თანამშრომელი დაემატება. მათგან 401 ტყის მცველის პოზიციაზე იმუშავებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კანდიდატების შერჩევა, ვაკანსიები ეროვნული სატყეო სააგენტოს რეფორმის ფარგლებში გამოცხადდა, რომლის მიზანიც ტყის დაცვის გაძლიერება და ტყით სარგებლობის პრაქტიკის გაუმჯობესებაა. ვაკანსიები დაიდო ვებ-გვერდზე და ასევე ფეისბუქ პლატფორმაზე, კონკურსის მონაწილეთა აქტივობა იყო საკმაოდ მაღალი.

ტელეკომპანია „იმედმაც“ გაუშვა სიუჟეტი: „ტყის მცველის კანდიდატთა შერჩევა“, რომელიც თითქმის „რუსთავი 2“-ის სიუჟეტის ანალოგიური იყო - როგორც სათაურიდანაც ჩანს, აქაც უფრო დიდი აქცენტი გააკეთა კონკურსზე, თუმცა, მეტი

ვიზუალური მხარე ახლდა და ისიც თქვეს, რომ პროექტის ფარგლებში, ტყის დაცვის გაძლიერებასთან ერთად, აქტიურად მიმდინარეობს მისი აღდგენაც.

როგორც ვხედავთ, ამ სამი ტელეკომპანიის სიუჟეტებშიც პრიორიტეტები სხვადასხვანაირად გადანაწილდა. რაც შეეხება „TV პირველს“, ამ ფაქტზე მაყურებელს ინფორმაცია არ მიუღია (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ეს მასალა ვერ მოვიძიეთ).

რეკლამები. გვინდა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ამ თემაზე შექმნილ რეკლამებსაც - ბუნების დაცვაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველ არხზე“ ბოლო ხანს გამოჩნდა რეკლამები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესოა, როგორც ტექსტობრივი, ისე ვიზუალური თვალსაზრისით. მხედველობაში გვაქვს რეკლამა ახალგაზრდა რეინჯერზე, რომელმაც, როგორც თვითონ ამბობს, იცის ტყის ბინადრების ყოველდღიური ცხოვრება, იცის, წელს სად გამოჩნდა პირველი ყვავილი...

ასევე, ორიგინალურად არის აზრი მოტანილი მაყურებლამდე ანიმაციურ რეკლამაში, სადაც გვიხსნიან, თუ როგორ შეიძლება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების შემცირება. სულ ახლახან კი რეკლამით შეგვატყობინეს, რომ პირველკლასელები სასკოლო ისტორიას თავისი დარგული პირველი ნერგით დაიწყებენ...

დასკვნა

ჩვენი დაკვირვების შედეგად (ძირითადად 2026 წ. ივნისი, ივლისი, აგვისტო), გავარკვიეთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხი“, საქართველოს სხვა ტელეკომპანიებს შორის („რუსთავი-2“, „იმედი“, „TV პირველი“), ყველაზე მეტ ადგილს უთმობს ეკოლოგიის და ბუნების დაცვის საკითხებს. თუმცა, ტელეკომპანია „იმედის“ „შაბათ - კვირის დილამაც“ საკმაოდ ვრცელი სიუჟეტები მიუძღვნა ამ თემას.

ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის თემაზე შექმნილი რეკლამებიც, სხვა ტელეარხებზე ხშირად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გვხვდება. ეს ბუნებრივიცაა - ყველაზე მეტად, სწორედ მას ევალება ასეთი სახის რეკლამების გაშვება.

რაც შეეხება ეკოლოგიის სფეროში არსებულ პრობლემებს, ამ თემაზე მომზადებული სიუჟეტები/გადაცემები, ჩვენი აზრით (შედარებების საფუძველზე), ყველაზე მეტად არის დაბალანსებული საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველ არხზე“ - სწორედ მისი გადაცემებიდან გავიგეთ ყველაზე სრულყოფილად, თუ რა ხდებოდა (2026წ. ზაფხულის თვეებში) ამ ძალიან მნიშვნელოვან დარგში - რა პრობლემებია, რა ღონისძიებები ტარდება, რა ვერ კეთდება და რატომ ვერ კეთდება, ვინ რას ამბობს, ვის რა არგუმენტაცია აქვს... საიდანაც დასკვნები თვითონ ტელემაყურებლებმა უნდა გაკეთონ.

ბიბლიოგრაფია

Houston, B. (2009). zhurnalist'–gamomdzieblis sakhelmdzghvanelo. mekhute gamotsema. zhurnalist gamomdziebelta da redakt'orta ts'entraluri asotsiatsia. (ჰიუსტონი, ბ. (2009). ჟურნალისტ-გამომძიებლის სახელმძღვანელო. მეხუთე გამოცემა. ჟურნალისტ გამომძიებელთა და რედაქტორთა ასოციაცია);

Makharadze, I. (2010). tanamedrove zhurnalist'uri gamodziebis meoria da p'rakt'ik'a. tbilisi: gamomtsemloba „saari“. (მახარაძე, ი. (2010). თანამედროვე ჟურნალისტური გამოძიების თეორია და პრაქტიკა. თბილისი: გამომცემლობა „საარი“).